

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ილია გულუა
თანამდებობის დასახელება- კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება — „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება - საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი - 2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 25
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 24

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 14
კომისიის სხდომებზე დასწრება - 14

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 14
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 14

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;
- დ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ;
- ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 12 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 350

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

- ა) ქალაქის პერიფერიულ უბნებში შიდა გზების რემონტი და გარე განათების მოწყობა,
- ბ) საგზაო ნიშნების არარსებობა და შესაბამისად მოძრაობის მოუწყვრებლობა.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

განხორციელდა მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზარალებულთათვის (სახლდამწვარი 3 ოჯახი) ფულადი დახმარება, ცენტრალური ბაზრის ტერიტორიის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ბოგირების და გზების აღდგენის სამუშაოები და სხვა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
ვარ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 14 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს.
როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

შევსების თარიღი _ 28.10.2016 წ.

წარდგენის თარიღი - 28.10.2016წ

ხელის მოწერა 